კვირა, 16 აგვისტო 1915 წ. ფასი 10 კაპ.

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

№ 15



— ახლავე, დროიანათ უშველე. ვიდრე მამაშენს ჩასვამდენ, იქნებ დასცინცლო რამე, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

სამი დღე კახეთში.

შეიძლება ერთს და ორს არ დაუჯეროთ, მაგრამ როცა ყველა თფილისელი ქრონიკიორი ერთსა და იმავე დღეს აცხადებს მისდამო რწმუნებულ გაზეთის ფურცელზე:—კახეთის რკინის გზაზე უკვე წესიერი მიმოსვლა დაიწყოო; რაც უნდა კარგათ იცოდე მათი ბუნება, შეუძლებელი არ აგიყოლიოს საერთო ღალადმა და... ცნობა არ დაიჯერო.

ასე დამემართა მეც, თქვენს უმორჩილეს მონას.

ვის უნდა სცოდნოდა ჩემზე უკეთ ქრონიკიორთა ვერაგობა, მათი გასაოცარი თანხმობა ყოველდღიურ ჭორ ების თხზვაში, მაგრამ ვაი ჩემს გულუბრყვილობას და პრესისადმი ბრმა რწმენას.

დავუჯერე და წავედი!

ჩემს ასე უცებ გამგზავრებას ხელი კიდევ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ შეუწყო. წინა ღამით ვიღაც ქველმოქმედებმა ჩემი ოთახი გაჰქურდეს და ბინის დატოვება ახლა აღარავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა! ამას დაუმატეთ ისიც, რომ პოლიციამ ქურდობის შესახებ ოქმიც შეადგინა.

პირველი მარცხი ბილეთის აღების დროსვე შემემთხვა. მართალია სკოლაში ჩემთვის არ უსწავლებიათ, მაგრამ მაინც ჩინებულათ ვიცი, რომ თელავი დუშეთის მაზრაში მდებარეობს იორის მარცხენა ნაპირზე. დუშეთის მაზრა კი სიღნაღის მოსაზღვრეა და მაშასადამე თელავამდე დიდი დიდი ასი ვერსი გზა თუ იქნება.

— ბილეთი ოთხი მანეთი და ხუთი უზალთუნი ღირს. გადმომძახა კასირმა, როცა დაზგაზე ერთი ფურცელი მანეთიანი დავდე.

— როგორ? თელავი სიღნაღის მაზრაშია და სიღნაღამდე ხომ ასი ვერსია?

— ნუ გვაცდენთ, ბატონო!

— მე არავისი შეცდენა არ მინდა, მაგრამ ეს როგორ არის, რომ თელავი...

— ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, ახალი ხილის ამბავი. ესეც ახალი გზაა და ძვირათ იყიდება. მამაშვილურის დარიგებით მითხრა ჩემს უკან მდგომა მოხუცმა და ენა მუცელში ჩამივარდა. მართლაც აპრილის დამლევს ერთი კიტრი ოთხ უზალთუნ ნახევრათ ვიყიდე, ახლა კი თითონ თელავში სანაქებო კურდღელაურის კიტრს ორს შაურათ მოგცემენ. ფული დავთვალე და ბილეთით ხელში მატარებლისკენ გავემართე.

მწუხარებასთან ერთად გულში კიდევაც ვიცინოდი. კასსირს არც კი შეუმჩნევია, რომ მე სულ ქაღალდის ფულები მივეცი და თუ ჩვენი ქაღალდის ფულის ნამდვილ ფასს მივიღებთ მხედველობაში ბილეთი არც ისე ძვირათ დამიჯდა.

რაც მესამე ზარი ჩამოჰკრეს კარგა ხანი გავიდა. მოუთმენლათ ველოდები ფარდის ახდას! ხალხი ფუსფუსებს. ზოგი იქით გარბის, ზოგი აქეთ გამორბის. მე ველარ მოვითმინე. რაც ძალი და ღონე მქონდა ფეხების ბრახუნი და ტაშის ცემაავსტეხე. საერთო ყურადღება მივიპყარი, როცა საზარელი ხმით გავაბი ყვირილი.

— ვურემია! ვურემია! ვურემია! მეთქი. ჩემთან რკინის გზის ჟანდარმი მოიჭრა. უცებ გამოვერკვიე.

სირცხვილისაგან ისე გავწითლდი, რომ ცალი ყური კინაღამ სრულიად მომეწვა. ჩემი სიწითლე იმან უფრო გაართულა, რომ ვერ გავამხილე ნამდვილი მიზეზი ჩემი აღშფოთებისა.

მე კი კახეთის მატარებელი ქართულ თეატრში ავრიე. შეცდომაში უფრო მესამე ზარმა შემიყვანა. აბა რა ვიცოდი, თუ აქ მეოთხე ზარი იყო საჭირო.

სრულიად მე მაშინ გამოვერკვიე, როცა უზარმაზარი ჭრელი გველი ტრიალსა და უდაბურ მინდორზე მიგვა.... (ყოველ შემთხვევაში არა ...ქროლებდა!).

იმ დილიჟანსიდან, რომელმაც ჩვენ გვერდით ჩამოუქროლა მეტარებელს ნაცნობი ქალის სახე დავინახე. რაღაცა კიდევაც დამიძახა, მაგრამ იმ უსინდისო მეეტლემ ცხენებს გადაჰკრა და ეტლიც თვალითაგან მიეფარა.

მე ბევრი ვეხვეწე კონდუქტორს ეთხოვა მემანქნისათვის ცოტა ცეცხლის შენთება, რომ სათვალეზე მაინც მივდგომოდით ჩვენს წინ მიმავალ ეტლს, მაგრამ ყოველი თხოვნა ამაო გამოდგა.

— აბა რას იტყვიან, ბატონო, ჩვენ რომ დილიჟანს ავედევნოთ და გავუსწოროთ!

წარმოიდგინეთ, ახლაც არ ვიცი რას იტყვიან ამ საგნის შესახებ, მაგრამ მაშინ გული დამწყვიტა ამ განცხადებამ და მთელი სამი საათის განმავლობაში, ვიდრე ჩვენ პირველ სადგურს მივაღწევდით სულ იმ ნაცნობი სახის ვინაობას ვიგონებდი და ვიტანჯებოდი...

ორი ქალი!

ლურჯ „რუბაშკიანი“ სად. საგარეჯოში ჩამოჯდა. სიტყვა-პასუხსა და მოქმედებებში დიდი სითამამე და გაბედულობა ეტყობოდა. გეოგრაფიის მცოდნე, იმ ადგილების მიხედვით, რომლებსაც იგი ხშირათ ახსენებდა, უთუოდ გურულ ქალად ჩასთვლიდა მას.

სადგურ ბადიაურში, სადაც რუსის გლეხები და უფრო კი ქალები სასალდათო ბავშებს აცილებდენ, ჩვენს ვაგონში მეორე, შავ „რუბაშკიანი“ ქალი შემოვიდა. ლაპარაკის კილოსა და სახის იერზე მას უთუოდ კახურობას შესწამებდით.

ლურჯ „რუბაშკიანი“ შემოსვლისათანავე დააცქერდა მას. ეტყობოდა, რომ მეხსიერების შორეულ კუთხეებში რაღაც დიდი მუშაობა და ჩხრეკა სწარმოებდა.

შავ-„რუბაშკიანმა“ შენიშნა ესა და თითონაც რამოდენიმეჯერ აათვალიერ—ჩაათვალიერა მეზობელი.

— მე თქვენ ძლიერ მეცნობით! გაბედულათ შეეკითხა ლურჯ „რუბაშკიანი“.

— მეც სადღაც მინახვიხართ! არა ნაკლებ გაბედულათ უპასუხა შავ „რუბაშკიანმა.

— სადაური ბრძანდებით?

— ყვარული, გახლავარ. თქვენ?

— მე გურული. ოჰ ჩემი გურია, ჩემი გურია!

— თუ ეგრე მოგწონთ, აქეთ რაღას მობრძანდებოდით?

— რას იზამ დაია, ქმარს რომ გაჰყვები მერე ...მაგრამ ასე ძლიერ რატო მეცნაურება შენი სახე?

— მეც ვიგონებ, ვიგონებ და ვერ მომიგონია... ოჰ ღმერთო! თუ არა ვცდები, თქვენ მგონი ერთხელ შეგხვედით ამ შვიდი წლის წინეთ ორჯონიკიძის ქორწილში..

— უი, მართლა! რა მშვენიერი ქორწილი იყო, ბეჩა, შეხედე, სულ არ გამოცვლილხარ ამ შვიდ წელიწადში.

— შენც სულ იგივე დარჩენილხარ.

— რას ჩივი ქალო, ვერ ხედავ როგორ გავშავდი? ასეთი ვიყავი მაშინ...

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ნაცნობობის შემდეგ ისინი რაიმე ნათესაურ კავშირსაც გამოსძებნიდენ ერთმანეთში, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, რასაც ცოტად თუ ბევრად ერთმა მოულოდნელმა გარემოებამაც შეუწყო ხელი.

სულ სამიოდ ვერსი გამოვსცილდით სად. მეღლაანს. მატარებელს ფეხებში ჯერ კიდევ ნიჩბებით მიწას უყრიდენ, რომ უკან არ დაგორებულიყო. ორთქმავალი ისე მძიმეთ და გულიანათ ქშინავდა, გეგონებოდა ვინმე ქართველი მოღვაწეა, საზოგადო საქმეზე მომუშავეო. დიდის გაჭივრებით აიდგა ფეხი მატარებელმა და ჩვენც სიხარულით ცას ვეწიეთ, მაგრამ ამ დროს ვიღაც ჭირვეულმა ბავშვმა გზის პირად შაშვის ბარტყი დაინახა. გაბა ტირილი.

— დედილო ბალტი მინა, ბალტი მინა, ბალტი მინა!..

შეწრიალდა ხალხი. დედაც ძლიერ შესწუხდა. ვინ არ იცის, ჩვენი დედები ბავშვის აღზრდაში ახალ მიმართულებას ადგანან და მოზარდ თაობას ყოველივე სურვილს უსრულებენ. რაღა თქმა უნდა მატარებელი გააჩერეს. მხოლოდ ნახევარი საათი ვირბინეთ ბუჩქებში; ყველას უნდოდა თითონ დაეჭირა ბარტყი, მაგრამ ნადირობამ ამაოდ ჩაიარა. მშვენიერი ჰავა გულს გვიგრილებდა და წამოსვლას არავინ ფიქრობდა, რომ ერთ თფილისელ ვაჭარს საათი არ ამოეღო. ის ახტალის ტალახებში საბანაოთ მიდიოდა და აბა რა ებარტყებოდა. რაკი ჭირვეულ ბავშვთან აღარაფერი გაგვიდა, იძულებული გავხდი თელავში ასვლისა ირმის ბარტყი დავბირდებოდი, რაზედაც ის სიამოვნებით დამეთანხმა.

ჩვენი მატარებელი კვლავ დაიძრა.

ეშმაკი.

ბრძოლა*).

ღმერთს გეფიცებით, თბილისს რომ
საქმე არ მქონდეს საშური,
აქ დავრჩებოდი ამ ზამთარს,
იმდენათ მომწონს ხაშური.
ჯერ მარტო იგი რადა ჰღირს,
რომ შვაღამეზე წუხელი
თავზე დამესხა უეცრივ
ბაღლინჯო ასი უღელი.
ამ მტრის ქვეითა ლაშქარსა
წინ მოუძღოდა ფრთხილადა
რწყილთა მხედრობა გულადი,
ასე, ოცდაათ წყვილადა.

*) ეს ლექსი წაიკითხა ავტორმა ხაშურში გამართულ საღამოზე.

ჯერ დაწვრილებით დამზვერეს,
შემდეგ მეკვეთნენ მამაცათ,
ქვეითი უკან მოსდევდენ
ნელ-ნელა, კამაც-კამაცათ.
ომი გაჩაღდა სასტიკი,
ცენტრშიაც, ორთავ ფრთაზედა,
დახოცილ მტრისა გვამების
გადავდოდი მთაზედა.
მაგრამ რამდენსაც მოვკლავდი
(სწორეთ რომ გასაკვირია!),
ორი იმდენი მაშველით
ივსოდა ბრძოლის პირია!
სამი საათი ვიბრძოლე
ოფლის დამასკდა ღვარია,
მაგრამ არ იქნა, არ შედრკა
ბაღლინჯოების ჯარია.
ვიკადრე უკან დახევა
ბოლოს, საშველათ თავისა,
და სამარცხვინო პირობა
შევიმუშავე ზავისა.
ბაღლინჯოების მთავარ შტაბს
სიტყვა მივეცი სწორია,
გათენებამდე დავუთმო
მთლად ზურგის ტერიტორია.
დათანხმდენ, მყისვე დაიწყეს
გაღება ჩემი სისხლისა,
არ შემარჩინეს ძარღვებში
უმეტეს სამი მისხლისა...
ღმერთმა შეარგოსთ! თუმცა-ღა
ბაღლინჯო მკაცრი მწერია,
მაგრამ მე მაინც ვუმადლი,
ეს ლექსი დამაწერია!

თაგუნა.



— როგორ მოგწონთ ჩემი ქალიშვილი!
— ცოტა გამხთარია.
— ოო, მაგისი ფიქრი ნუ გაქვთ. მაგხელობას მეც სწორეთ ხმელი ვიყავი.

წინადადება.

— კი მაგრამ შენ რამდენი წლისა ხარ?
— თოთხმეტის.
— არ შეიძლება. შენ ხომ შემოდგომაზე სალდათათ წაგიყვანენ.

გურული ენა—კვიმატები.

გურიაში ენაკვიმატები ბევრი იყო და ზოგი მათგანი ახლაც ცოცხალია. მოსწრებული სიტყვა-პასუხის, ნაკვესის „ფინთიხით“ მთქმელი გურიის ყველა კუთხეში იყო. ზოგი მათგანი, მაგალითად მღ. ივანე მგელი-შარაშიძე, მღ. ნიკოლოზ ინწკირ-ველი, თავ. სიმონ გუგუნავა, თომა თოხაძე, ქ-ნი ტატო ბებურიშვილი (ეს უკანასკნელი დღესაც ცოცხალია) შაირ სიტყვაობით სწამლავდენ ათვალ-წუნებულ პიროვნებას. მათი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა, ზეპირად სწავლობდენ და ჩან-გურზე ალილინებდენ.

ჩვენ განვიზრახეთ ზოგიერთების მოსწრებული სიტყვები შევკრიბოთ და ჩვენს მკითხველებს გაუ-ზიაროთ. რასაც ჩვენ ვერ მოვასწრებთ, იმედია ...ვები მოათავებენ. სასურველია ხალხური იუმო-რის ნიმუში არ დაიკარგოს.

თავ. ვახტანგ გურიელი.

ამ წელში გარდაცვლილი ვახტანგ გურიელი ტკბილი მოქართულე, დარბაისელი და მოსწრებული თავადი იყო. მოგვყავს ზოგიერთი მისი ნაკვესები.

ვახტანგი და აგიტატორი.

ნეტარ ხსენებულ ცხრაას ხუთში ვახტანგი მიტინგს დაესწრო. ფაფარ აყრილი აგიტატორი ბრდღვინავს, შურის ძიებით გატაცებული მიმარ-თავს ხალხს;—ამხანაგებო! მოვა დრო და ეს მუქ-თა ხორა თავად-აზნაურობა, დღეს რომ ჩვენი სის-ხლით ძღება, ჩვენი ნაოფლარით იკვებება, მუხლ-მოდრეკილი შეგვეხვეწება მაჭამეთ პურიო. მაგრამ ჩვენ პურის მაგიერ ქვასა და ლიოდს ვაჭმევთ...

— ვენაცვალე, ბატონო, მე იმ დროს! რაღა მინ-და მეტი მანამდი თვარ მოვკდი. ჩემს კბილებს ახ-ლა მოზელილი ლობიო ვერ დაუღეჭავს და თუ ქვაის დაღეჭას შემაძლებინებთ, მეტი რაღა მინდა!

რამოდენიმე პირის გასაგონათ ჩაილაპარაკა მწარე ირონიით ვახტანგმა.

ვახტანგი და „პატარძალი“.

იმავე სულ ცხონებულ წელს ერთ სოფლელ გასათხოვარ ქალიშვილს წისქვილში ახალგარზდა მეწისქვილესთან შეუსწრეს. წისქვილის იდილია გამჟღავდა. მეწისქვილე საჯაროთ გაასამართლეს და გადაუწყვიტეს ქალისთვის მიეცა ოცი თუმანი და მოეკვეთა ათი საჟენი სასოფლო გზა.

ქალის ქირისუფალმა „საუპატივრო“ 20 თუმანს თავისი წაუმატა. ქორწილი გაჩაღდა და ქალიშვილი გათხოვა. დედოფალს მაყრათ ვახტანგიც ეახლა. შეზარხოშებული მაყრიონი სიმღერით მიდის დედოფლის ცხენი დაფრთხა, წაიფორხელა და დედოფალი კინაღამ ტალახში გადააგდო. ვახტანგმა უთხრა დედოფალს:

— ბატონო, რავა ღმერთი გამიწყრება, რავა დაგანებებ ტალახში ჩავარდე, მაგრამ რომ გიშველო, ხელი უნდა შეგახო და შენი ხელის შეხება 20 თუმანი ღირს; მაგას ვინ ჩივა, გინდა მეტი იყოს, მაგრამ ათი საჟენი გზის ჩემი ხელით მოკვეთა არ შემიძლია და რა ვქნა!.

ვახტანგი და კნეინა.

ვახტანგი და მისი სტუმრები ვიღაც ქალის ქებაში არიან. მოგეხსენებათ ქალის ყველაზე ვარესი შეურაცყოფაა მის გასაგონათ სხვა ქალის სილამაზის შექება.

საუბარს ყური მოჰკრა ვახტანგის მეუღლემ და ბრძანა: —რა გიკვირთ იმისი სილამაზე; იმ ხნის რომ ვიყავი მე მაზე ულამაზესი ვიყავი: — კი ბატონო, მარა ვინაა მაგის მოსწრე, ვის ახსოვს შენი ახალგაზრდობა!? იკვიმატა ვახტანგმა.

ვახტანგის ტოლუმბაშობა.

ცხრაას ხუთში „განურჩევად წოდებისა“ ყველანი სასოფლო გზას აკეთებენ. სხვებთან ერთად ვახტანგიც, თოხით მუშაობს. ერთობის ხალხი ერთობის სადილის საჭმელად დასხდენ. მუშებს ერთი გუდა ღვინო გამოუგზავნა სახლის მაინც და მაინც დიდათ არ საყვარელმა თავადმა (მ. ნ—ძემ). ვახტანგი ტოლუმბაშათ აირჩიეს. —ვიცი, ბატონებო, მე იმისთვის მირჩევ ტოლუმბაშათ, რომ ფინთის გამოგზავნილი ღვინო პირველად ვშინჯო, თვარა კაცს რომ გამოეგზავნა, მაშინ მე ხომ არ ამარჩევდითო!

პერპენდობილე.

ႸႠႰႠႣႠ

მე სანატრელათ არა მაქვს
გამბედაობა ზოგების...
და ჩვენი მკითხველისათვის
თავიც არ დამეზოგების.

—

მაშ მოდით, შუა გამჭერათ
ავტორი ამა შარადის,
(ცხოვრებისაგან ისედაც
განაწამები მარადის!)
რომ თავი ჩემი თქვენს შრომას
დაედოს საძირკველათა...
ბოლო კი გადაისროლეთ
სადმე შორს, მინდორ ველათა.

—

აწ კი გაჰყევით მყრალ ქუჩებს
ქალაქში, გინდა სოფლადა,
ძებნა არ გვინდა იმისა,
შორით რაც მოსჩანს სობლადა
შიგ ბუდობს მილიონობით
ბაქტერია და ბაცილა;
შმორისა სუნი აუდის,
ბაყაყებითაც ავსილია.
ორი ნიშანი თავიდან
ჩამოვაშოროთ სასწრაფოთ,
თუ გვინდა გზა ეკლიანი
ჩვენ დროიანათ გავკაფოთ,

მოვნახოთ ქორონიკონი
ათჯერ უფროსი ხუთისა...
(დრო დაგქირდებათ ამაზე
არა უმეტეს წუთისა!)
ის საოჯახო ნივთია,
ძუისგან ამონაქსოვი,
როცა ლოყებში შემოჰკრავ,
თოვლისა თეთრის დამთოვი.
უნდა გავკვეთოთ ეგ სიტყვა
უმეტნაკლებოთ, ორათა,
და ნაწილს პირველს სისწრაფით
თავზე დავეცეთ ქორათა.
მეორე მისთვის წავიდეს,
ის ჩვენ მკითხველად გვქირია,

თუ ქართულისა ცოდნაზე
არ შეირცხვინა პირია.

—

აწ მომინახეთ ბალახი,
მშვენება გაზაფხულისა,
მტრედისფერ თვალებიანი
გამხარებელი გულისა,
რომ იმის ტურფა ყვავილით
დავაგვირგვინოთ შარადა,
რომელსაც ბალკანელები
ხმარობენ წარა-მარადა.

—

კატამ რო კუდი ასწიოს
ისიც კი ითხოვს ამასა...
ანდაზად მოგახსენებენ:
„მადა მოჰყავსო ჭამასა.

კოლო.

ბ ა ტ ო ნ ე ბ ო!*)

ეს ტაში და სიხარული თაგუნას, უბრალო ლექტორს, არ დაუმსახურებია და არც შეიფერებს. თქვენი პატივსიცემა სავსებით ეკუთვნის იმ მეცნიერებას, რომლის შუამავლათაც მე ვდგევარ თქვენ წინაშე და რომლის უაღრესი სიყვარული ძვალში და რბილში გასჯდომია წაღვერის პატივცემულ საზოგადოებას...

თქვენი უანგარო სიყვარული მეცნიერებისა გასაკვირველი არ არის და აი რატომ. ის ადგილი, სადაც თქვენ ამ ჟამათ ცხოვრობთ, ისტორიულ ზემო ქართლის ფარგალში მდებარეობს, ხოლო ზემო ქართლი ანუ მესხეთი, მველ დროში, იყო აკვანი და კერა ქართულ კულტურისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა. დროთა ულმობელმა ვითარებამ და უკულმართმა ბედისწერამ ხანგრძლივ შეაფერხა და დაახშო ზემო ქართლი კულტუდა, გარნა, აჰა, კვლავ გაჩაღდა მიმქრალი კერა და ხელახლა აღინთო ლამპარი განათლებისა ოდესღაც განთქმულ მესხეთის საზღვრებში!

ბაკურიანის წვერვალზე აიმართა ორი ტაძარი-მეცნიერებისა და ხელოვნებისა. პირველის ქუუმობა წილად ხვდა თქვენს უმორჩილეს მონას, თაგუნას და ბ-ნ კალე ქავთარაძეს, ხოლო მეორისა-ბ-ნთ ალ. წუწუნავას და ალ. ქარქაშაძეს.

განშორებულნი ყოველსავე მიწიერთან, განსპეტაკებულნი ამ ქვეყნიურ ვნებათაგან, გარეშემოზღუდულნი მთებითა და კლდეებითა, ჩვენ მივემსგავსებით იმ წმინდა განდეგილთა, რომელთაც დაუტევს წუთის სოფლის ცოდვილი ცხოვრება და დაემკვიდრენ აუვალ ციცაბო კლდის გამოქვაბულში.

გარნა, წაღვერლებო! ჩვენ უთქვენოთ არარანი ვართ. თქვენა ხართ ჭეშმარიტათ ღირსეულნი მემკვიდრენი განათლების მოყვარულმესხებისა და თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა გვაძლევს ჩვენ იმ მასალას, რომელთაგან გამომდინარეობს ჩვენი საოცარი მეცნიერული დასკვნანი.

აქ, წაღვერის წიაღში, ირკვევა და წყდება ისეთი რთული საკითხები, რომელთა გაშუქებას და გადაწყვეტას ამაოთ ცდილობდენ დღემდე მსოფლიოს დიდებულნი მეცნიერნი.

განა წაღვერის წარმტაცმა ბუნებამ არ აღაფრთოვანა და ააღერა ქნარი ერთი ჩვენი ნიჭიერი მგოსნისა, რომელმაც საოცარი სიმარტივით მოსჭრა სქესობრივი საკითხი თავის მშვენიერ ლექსში „წამო ტყეში, ტყეში წამო“?

მართალია, აღმოჩდნენ ისეთი მეცნიერები, რომელნიც თავისებურათ განმარტავენ მგოსნის მიერ ქალწულთა ტყეში მ-პატიჟებას და ამტკიცებენ, თითქოს ავტორს წაღვერის ტყეების ფლორისა და ფაუნის შესწავლა ჰქონოდეს აზრათ და, ასე ვთქვათ-ბოტანიკო-ზოოლოგიურ ექსკურსის შესადგენათ გა, ნეზრახოს კეკლუცთა ტყეში წაყვანა, მაგრამ ასეთი განმარტება ჩვენ ნაძალადევათ მიგვაჩნია: რაღა მაინცა და მაინც მხოლოდ მდედრობითი სქესის თანაშემწენი დასჭირდა მამრობითი სქესის პატივცემულ მგოსანს ადგილობრივ მცენარეთა და ცხოველთა შესასწავლათ?

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენ, წაღვერელებმა, წამოაყენეთ და გადასჭერით კიდეც, ქიმიის დარგს ეკუთვნის.

მოგეხსენებათ, რა აუტანელი მდგომარეობა შეჰქმნა მთავრობის ვანკარგულებამ ღვინისა და საზოგადოთ სპირტიან სასმელების აკრძალვის შესახებ. ვერავითარი შიმშილობა, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურება ვერ ჩააგდებს ისეთ განსაცდელებში ქართველ კაცს, როგორშიაც ღვინის აკრძალვამ ჩააგდო. არსად, არც ქალაქებში,

*) მეცნიერული შინაარსის სიტყვა, წარმოთქმული ავტორის მიერ წაღვერის მოაგარაკეთა წინაშე.

და არც სოფლებში ღვინო აღარ იშოვება და საბრალო ქართველი კაცი, უიმისოდაც განაწამები და ღონე მიხდილი ლამის გაცოფდეს წყურვილისაგან. აი, ამ განსაცდელის დროს, ამ ეროვნულ უნუგეშობისა და უმწეობის დროს თქვენ გამოიჩინეთ თავი, დიდებულ მესხების მემკვიდრენო: დღეს მე დავრწმუნდი, რომ თქვენ მიგიგნიათ საშველება ღვინის ქიმიურათ შოვნისა და ისიც არა უბრალო ღვინის, არამედ „კახეთის“ საზოგადოების უაღრესი მარკის ღვინისა. მართალია ეს, გენიოსურ აღმოჩენა თქვენ ჯერ ჯერობით ჩემთვის არ გაგიმხელიათ, მაგრამ ჩემმა მეცნიერულმა ალღომ უთქვენოთაც კარგათ იგრძნო, რომ ეს აღმოჩენა დღეს თქვენ ხელთ არის. მართლაც და: მე ვიცი, რომ მთავრობის განკარგულების თანახმათ წვეთი ღვინოც არ შემოუტანიათ აქა, მაგრამ ისიც ვიცით რომ მე დღეს თქვენ ნამდვილი წითელი კახური დამალევინეთ. მაშ საიდან გაჩნდა ეს მშვენიერი სასმელი, თუ თქვენ ქიმიური საშვალებით არ გიშოვნიათ იგი.

ქიმიის სამეფოში ასეთმა გამარჯვებამ თქვენ, ძველნო მესხებო, ჭეშმარიტათ დასთრგუნეთ ყველა დროის მეცნიერნი და აღემატეთ ისეთ ბურჯებს მეცნიერებისა, როგორიც არიან რამზაი, კიური რენტგენი და სხვები.

შემდეგი ფასდაუდებელი ღვაწლი თქვენი, პატივცემულნო წალვერლებო, უნდა ვეძიოთ მედიცინის სფეროში. თქვენი ცდა ამ დარგში სწორეთ დიდ თავგანაწირავს, თავდადებას წარმოადგენს. თქვენ არა თუ თავი თქვენი შეგიწირავსთ მეცნიერების წმინდა საკურთხეველზე, თვით მომავალი, თქვენი მერმისი, მსხვერპლთა მიგიტანიათ და არ დაგიზოგავთ. მე დღეს ვნახე თქვენი მცირე წლოვანი ვაჟები, რომელნიც ისეთი გაათფთრებითა და გატაცებით ეწეოდენ თამბაქოს, რომ მოხუც ინგლისელის შურსაც კი აღძრავდნენ. ჯერ მე მეგონა (რომ, მაპატიეთ ასეთი ეჭვიანობა), რომ ეს 10—11 წლის ჰაბუკნი მხოლოთ თავგდებობისა და მოუვლელობის გამო ეწაფებოდენ ამ შხამიან ბალახის ბოლს, მაგრამ ეს შეუწყნარებელი ეჭვი წამშივე გამიქრა და მე მივხვდი რომ ეს თუთუნის მწეველი ბალღები ღირსეული თანაშემწეები არიან თავიანთ მეცნიერ მშობლებისა, რომელთაც შვილებიც კი გაუწირავთ მეცნიერების გულისთვის და ამათ მაგალითებზე უნდათ გამოარკვიონ თამბაქოს ძირითის, ანუ ნიკოტინის გავლენა ნორჩი თაობის ფილტვებზე..

თაგული.



— ტყუილად კი არ ამბობს მამა რომ ცხოვრებაში
ქალების დაუხმარებლათ ვერაფერს მივაღწევთ.

მტრების ბანაკში



1) გერმანელთა სანგარი. 2) ოფიცრის მიწური. 3) საველე ტელეფონი. 4) გერმანელთა მიერ ანაფეთქები ხიდი.
5) გერმანელთა საზვერავი. 6) დახურულ-დაფარული სანგრები გერმანელებისა.

არაკი.

(ალ. მ—შვილს).

რა თქმა უნდა მას, რომ გუნდა,
გუნდა ცომის, ანუ ღომის,
ან და სურვილების გუდა,
განდიდების, ბევრის ნდომის,
მოხაზული ერთ სხეულათ,
მოფარგლული ერთ საგანში,
მოსათმენი არსებაა,
თუ ეტევა თავის კანში.
მაგრამ როცა ამ კანიდან
ის დაიწყებს ამოძრომას,
თავის თავის განსაბერათ
ის ეწევა ცდას და შრომას.
სასაცილო ხდება მაშინ
გაფუყული ბაყაყსავით,
და მის ქცევას აღვწერთ მაშინ
ჩვენც კრილოვის არაკსავით.

—

ერთხელ ერთ კაცს ნიჟიერსა,
მაგრამ ჯორებრ უნაყოფოს,
თავის თავის წარმოდგენით,
ქვეყნის ბურჯს და ფილოსოფოსს.
მუშა შეხვდა, სოფლის მუშა,
ხელ-ფეხ დამკქდარ დაკორძილი,
რა თქმა უნდა, „ფილოსოფოლოსს“
არ მოსწონდა შრომის შვილი.
და ამაყად შემოსძახა:
„ვერ მოუვლი მავ ხელ-ფეხსო!
მაგ სიბინძურ-სიგლახისთვის
თავში კი დაგახლი მეხსო!
ეს კორძები, ეს წყლულები,
ეს კანი ფერ გადაკრული,
განა შვენის მას, ვინც არის
ოდნავ შრომის მოყვარული?
მეც ხომ ვშრომობ! მასთან შენზე
ასჯერ მეტსაც გავაკეთებ.
რომ ვქნა, ჩემის ნაზრევით
მთელს ქვეყანას ავაფეთქებ:
ცით ვარსკლავებს ჩამოვიტან,
მთებს ვაკესთან გავასწორებ,
და თუნდ ხვნაშიც, მკაშიც შენზე
ასჯერ მეტს ვიქ, გიმეორებ.
მაგრამ აბა დააკვირდი
ამ ჩემ ხელ-ფეხს, ამ ჩემ სხეულს,
სულაც არ ჰგავს იგი შენსას,
დაკორძილს და ქანცმილეულს“...
და ასე „ფილოსოფოსი“
მუშას დიდხანს აწამებდა,
თუმცა თითონ, შრომის ნაცვლათ,
ფიქრში ათენ-აღამეზდა.
ამიტომაც მუშამ იმას
უპასუხა არაფერი,
მხოლოთ პირზე ღიმილს ჰგვრიდა
ბაყაყივით განაბერი!..

1913 წ. ივ. ბახმარო.

ონისიმე.



ჯარის კაცის ნაამგოვი

(ამერუდი სცენა)

ერთხანს „აკოპებში“ ძაან გვაწუხებდა გერმანელების ანტილერია. რომ დაგვაყრიდა ბჟირივით ტყვიას, თლათ გაგვანაბევრებდა. ნამეტნავათ კი ერთი დიდი ზარბაზანი გვაწუხებდა! რომ გამეისროდა ამ ჩემ ოდის ხელა ყუმბარას... ოცდა ათი საჯენის სიღრმეზე ამოთხრიდა მიწას. ერთხელ დაძიძახა „კამანდერმა“ და მითხრა:

— პასლუშაი, ჩკიპურტანიძე.

— ჩტო იზბოლიტე ვაშა ბლაგაროდია!.

— „შენ ძაან მარჯვე ბიჭი ხარ, ბევრჯერ ყოფილხარ განსაცდელში და გადარჩენილხარ. ახლა უნდა დამავალო და გერმანიელთა იმ უშველებელ „გაუბიცას“ უნდა ჩააწყვეტიო ხმაიო.

— „სლუშაიუს, ვაში ბლაგაროდია—თქვა“, გამოვტრიალდი და წევედი პირდაპირ გერმანიელებისაკენ.

ვიარე, ვიარე... მივადექი მათ „აკოპებს“—ვუკივლე და ევიღე... გევიქეცი... ვირბინე, ვირბინე... წამომიდგა წინ მათი „ლეზევრები“—დავსტყივლე და ევიღე... ბოლოს მივედი დიდ, გაუბიცასთან. წამოჯგიმულა კაკიაშვილის კდესავით, დოუ

ღია პირი, ღრიალებს და ჰყრის პირიდან უშველებელ ყუმბარებს.

მივეპარე... მივეპარე, ვსტაცე ხელი და ჩაუძახე ჩანთაში.—

გამოვიქეცი, მარა რავარი...

მეეედი პოლკში, ვაჩვენე „კამანდერს“ ზარბაზანი..

„სპასიბო“—ო მითხრა.

— „რადს ტრაცა ი ვაშა ბლაგაროდია“—თქვა, ეუთხარი და წეეედი ჩემი კარავისკენ დასასვენებლად.

— უჰ!.. შე კაცო! გმირი ყოფილხარ, ნამდვილი გმირი! ბოშო და, არაფერი ჯილო მოგცეს მაგ გმირობიზა?

— ჯილდო?... კი!.. ჰო!. არა.. ჰმ!.. შე კაცო ამნაირი უბრალო საქმიზა რა ჯილდო მერგებოდა?

გუგული.

დიფამაცია.

ვსთქვათ ხუმარა ხარ, იხუმრებ.
ადვილი სამსახურია.
ბოროტებას და მის ჩამდენს
ამით ებრძოლო გწყურია.
ვნახოთ სიავის მთესველი
საქმე, ან აგიტაცია,
ან გარებიან ავტორას
(„უფლის“ ან „მეფის“ კაცია)
„რაინდი“ გული არა გყავს
ნაჩვევი ამის თმენასა,
აზრები მუზამ მოგიძღვნა
ფორმა მიანდვე ენასა,
აღნიშნე ფაქტი სისწორით
(რომლის მომქმედი კაცია)
თანაც არგესმის რა არის
კანონი „დიფამაცია“
რედაქტორი გწერს საყვედურს,
გამომცემელი შველასა
და მომჩივანი მუქარას
(მტერმა გაუძლოს ყველასა)
მერე არ გინდათ გაიგოთ
რა არის „დიფამაცია“?!
სიმართლე გქონდეს და მოწმეთ
რომ გყავდეს მთელი ნაცია
არას გიშველის, დაგსჯიან,
თვით მომჩივანის ნებაზე
(ალბათ ფიქრობენ გათქმიონ
ვარი შენს წმინდა მცნებაზე)
ტყვილა ჰგონია უბნის „ძმას“
ქალაქის, მრევლის მამასა,
რომ შეირგებდენ „ქალამნის“
და ან საკურთხის ჭამასა

ბუტუნა.

როგორ გადავწყვიტე კვრივმა ცოლის შერთვა.

(გურული სტენა)

„ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს ეპირებოდაო“, ნათქვამია. სწორედ ისეა ჩემი საქმე, მარა ჩემს გარემოებას რომ გეიგებ, კი არ გამიმტყუნებ.. აგერ თუთხმეტი წელიწადი დავაკანკალე, რომ დავქვრივდი. სულ ცხონებული ჩემი ფეფიკელე რომ კვტებოდა, გადმოატრიალა ჩემსკენ თვალები და მითხრა:

— ივანიკა, თუ მე გიყვარვარ იმით გევიგებ, მე რომ მოვკვტები მეორე ქალს არ ითხოვო.

— შენი ძვალი დამეკავოს პირში, თუ ვითხოვო მეთქინ, აგი კი მუასწარი და გაიფიქინა ფეები.

მას მერე გეიარა 15 წელიწადი. შვამაულები სათოფეზე არ წევიკარე, მართლა არც ისე მოხუცებული ვიყავი მაშინ, ორმოცდა ხუთი წლის ვიყავ, მეტი არა. ახლა იმისანე დროი მევიდა, რომ ქე დავრჩი თავად მარტოტკალე. უნცროსი ბადანე ჩემი ბესიკელე—ნოვობრანცათ წეიყვანეს. აგერ ერთი წელიწადია, არაფერი ვიცი. მისი შვიაა შვილი ავთანდილე ზაპასნოი იყო და ისიც წეიყვანეს, იწერება-„აბოზლი კამანდათ“ ვარ, სიკდილით არაფერი მიშავსო, მარა მე იმისი იმედი არა მაქ. თლად უფროსია და მოორე სორტის რანტიკია და იმასაც ქე გამომშვლეტენ ხელში; ჩემმა რძლებმა ეიკრეს ბარგი და ქე შუუყვენ თავ-თავის სახლში.

— მეიცადეთ, მე ვისთან მტევთ მეთქინ?

— არ დამელაპარაკო, მე ზაპასნოის ცოლი ვარო, შამომიყვირეს და წევიდენ. რაცხა პაწას ქე

უგზავნის იგი დალოცვილი ხემწიფე საყიდელს, თვარა, ვინ მოგცილდებოდა, ჯოხით ვერ გადავდენიდი. ეხლა დავრჩი თლად მარტოტკალე. აგი ასეა, მარა, აი, ქალიშვილები უფიქრებელს გაფიქრებიებს. ნუგეშინია კი დალაგდენ ოხრათ.

ძაგენს დარჩათ მაიდანი... უწინ რავა შემხედავდენ თვალით, აბა თავის დაკვრამ ჭირი მოგჭამა, ახლა, იცოცხლე, მოუვიდა, მოწონება ქრივ ივანიკას.

აგერ გითხრა: გუშხამ ყანაში მივალ ჩასკუმუხეთებული, მოშხამული. საცხეიდან ამოძვრა მათიელეს გოგო სუნდუხტიე; გამიკარიჭა, მეიჩოჩა ჩემკენ და-ივანე ზდრასტიო! გაგიმარჯოს ღმერთმა მეთქი-აგი ქე უთხარი, მარა პაწე კუჭიც ქე მომივიდა: ვიფიქრე, რას იკრიჭება აი ციცე მეთქი. დევიხედე ნოვობახის კარი არ მქონდეს ღია მეთქი მარა ქე იყო დაკეტილი. მომიბრუნდა კიდევ და მითხრა:

ივანიკა გასუქებულხარ, გალამაზებულხარო.

მაშინვე მიბუშკნა რაცხამ გულში, მივხვდი რაშიც იყო საქმე.

—არა მიშავს, ქე ვარ კარგათ მეთქი. გულში კი ვამბობ: ისე შენ გასუქდი რავარც მე ვარ გასუქებული მეთქი. გასუქებული კი არა „შვიდოული“ მერგება, წყალის მეტი აფერი ჩასულა ერთი კვირა ჩემ პირში მეთქი, მარა მივხვდი რაში იყო საქმე.

— დეიმუხლე აგერ, ვილაპარაკოთ, შენ საწყალო როის შეიტყობ სიცოცხლეს, სულ რომ ყანაში იკლავ თავს.

მივაგდე თოხი მიღმა, მოუჯექი გვერდში და გავაბი ჭუჭუნი ზაზანდარსავით. დამიწყო ლაპარაკი ვაინზე: მეცოდები, ვაინმა შვილები წაგართვა, მარტოტკალე ხარ სახში, ცოლი გყავდეს მაინც კარგიაო.

— მაინც არ იქნება მაი რომ მყავდეს, მარა აწიც მივესრებით მეთქი.

მე ძაანს გაგიპირდები რომ ითხოვო ვინმეო, დამიწყო ბლაზური; შევყევით, შამოვყევით, გამავიწყდა ჩემი ფეფიკელეს ფიცი და ვაინიც, უთხარი რალასხოგან მიმდენი, შენზე უკეთესს ვის მოვნახავ მეთქი; გამიცინა, შამომაშტერდა თვალებში საელიობო თხასავით და მითხრა:

— „მსურს“, გეთანხმებით, ნიჩავო პროტივნი იმეიტო.

-- კი მარა მამაშენმა ვარი რომ გვტკიცოს მეთქი?

— ბაბას ვინ კითხავს, ჯვარს თვარ დაგვწერენ, გრაჟდანსკათ დავქორწილდეთო.

— აი, გრაჟდანცკი, რაღაა მეთქინ?

— რაი, და, ვიქნებით ერთად ჯვარდაუწერელე, თვისებით, და თუ არ მოგვეწონება, პრაშჩაიტდოსვიდანიე, შე შენდა და მე ჩემდაო.

პატარე ქე შევფიქრდი, მარა, მერე მომაგონდა, ვილასთან წავა, ნუ გეშინია, ყმაწვილებმა არ ჩამემუშტროს, ზოგიერთ ჯვარის წერას, და ცოლქმრობას, გრაჟდანცკი ბრაკიც კი სჯობიან და ყოლიფერი... როდისაც მინდა მოვცილდები, თუ გამიჭირდა... რაღა ბევრი გავაგრძელო, მივეცით ხელი ერთმანეთს—მისი ოჯახი დეიქცა, ვინც თქვას მოხუცებულს სიყვარული არ შეუძლიაო. ამიგლაჯუნდა გული, ამელვრა თვალები, ამიფათქუნდა ძარღვები, სადაც ტანში ორი წვეთი სისხლი მქონდა, ყველამ ცხვირის წვერში მეიყარა თავი, ისე გავწილდი. ბოლოს, მევედი რავარც იქნა ჭკუაზე, გადავწყვიტეთ ნამარიობევს ჯვარის წერა. მაშინ პატარე ლობიე და ჭყინტი სიმინდი ქე შემოვა, თუ თათრებმა არ დეიწერა მანამდი ჩემს სუნდრუხტიაზე ჯვარი. ასე წევიდა საქმე და ღმერთმა იცის ბოლო რაფერი დამირჩება.

ლუკაიეს თბოლი.

— თქვენ თამბაქოს ეწევით?

— არა. თამბაქოს წევა კაცს ასულელებს.

— სჩანს თქვენ ახალგაზრდობაში ეწეოდით.

სოფლის ფერშალი.

(შარჟი 1 მოქმედებად)

(დასასრული)

ფერშალი. და, ეტა ვაშა დოზა შარლატანსტვო, ვოტ, ტეპერ, ზნაეტე, ესტ ნოვოე სრედსტვო—შესოტშესტ, ვსემ პამაგაეტ! (თვალს გადაავლებს დამსწრეებს და ენერგიულად გაიმეორებს) ვსემ პამაგაეტ! ვსემ: ი მალარიი, ი ლიხარადკე ი ვსემ. ტოლკო ეტო ნადა ვპრისნუტ, ა ესლი ნე პამაგაეტ, ტაგდა ხარაშო ვა ვნუტრ, ზნაეტე, პრინიმატ... ვა ვნუტრ!

სტუდენტი. Какъ мнѣ извѣстно, „606“ во внутрь не принимаютъ...

ფერშალი. და, და! ვა ვნუტრ, პამაგაეტ.

სტუდენტი. А вы лично примѣняли.

ფერშალი. ნეტ, ზნაეტე, ნამ, ფელდშერამ, ნე პაზვალაიუტ, ზნაეტე, ბუმაგა... ბუმაგი ნეტ, ზნაეტე... დიპლომ! ბუმაგა—ვსიო! (იცინის) ჰჰმ! და, ზნაეტე, მოჟეტ ბიტ, ი ემუ პამოჟეტ შესოტშესტ... მოჟეტ ბიტ ესლი ნე ნა მალარიინომ ი ნა გემოროიდალნომ პოჩვე, ზნაჩიტ ნა ვენერიჩესკომ... მალადოი ჩალავეკ, ზნაეტე... დალჟნო ბიტ ონ ვ ბატუმე ბივალ. (ავადმყოფს) ტი ბატუმე ბივალ?

სტუდენტი. (უთარგმნის) ბათუმში თუ ყოფილხარო?

ავადმყოფი. კი, ბატონო!

ფერშალი. ნუ, ზნაჩიტ, ეტო ნა ვენერიჩესკომ პოჩვე... მალადოი ჩალავეკ პაშალილ, ზნაეტე, ბატუმ...

სტუდენტი. А на счетъ діэты что вы скажете?

ფერშალი. (ვერ მიხვდა) კაკ?

სტუდენტი. На счетъ діэты...

ფერშალი. დეტეი ნეპრემენნო ნადა უდალიტ, ზნაეტე, ი ვააბშჩე ვაზმოჟნო ზარაჟენიე, ზნაეტე... (უცაბედათ პრავიზორი დაინახა) ნუ, კაკ უ ვას, ვ აპტეკე: ტარგოვლიაა ესტ?

პრავიზორი. არა უშავს რა, წამლები კი გაძვირდა ამ ომის გამო, მაგრამ...

ფერშალი. ნუ შტოჟე, ზნაეტე, ტეპერ ვსიო დოროგო! ი ნამ ტოჟე ოჩენ მალო დაიუტ, ზნაეტე... (გადახედავს მასპინძლებს) და, ზნაეტე, ეტო ვაინა ვსიო პერევერნულა... ტეპერ, გავარიატ, გერმანია პროზივაეტ გენერალ ლანდშურმ! გდე ონ ბილ დასიხპორ, შტო, არესტავალი ევო შტოლი? ტამ ტრუდნო, ზნაეტე... უ ნიხ ი პუშკა, ი ვანიუჩი გაზ, ი ვსიო! ატკუდა ეტო ვანიუჩი გაზ ანი ვიპუსკაიუტ, ჩორტ ევო ზნაეტ! ტამ ტრუდნო ა ტურკი?.. ტურკი, ია პომნიუ; ვი ნე პომნიტე—მალჩიკ ეშჩო ბილი—ვა ვრემია პახოთოვ ტურკი... ტურკი ხარაშო ბეგუტ! (იცინის) ჰჰმ! რუკუ ზდეს მოჟნო ვიმიტ? (ხელს აბანინებენ).

ფერშალი. ნუ შტო, კაკ გასუდარსტვენნაია დუმა? გავარიატ ტეპერ ხარაშო, ვსე დეპუტატი საგლასნი ი ხარაშო საბერაიუტსა.

სტუდენტი. Да, теперь ужъ не замѣчается абсентеизмъ?

ფერშალი. (ვერ მიხვდა) კაკ?

სტუდენტი. Абсентеизмъ!

ფერშალი. აქვსენტია კოტრიკაძე? ევო ნიკაგდა ნე იზბერუტ ვ გასუდარსტვენოი დუმე. ონ ვისტრიგნი სვიაშჩენიკ... ნეტ, ევო ნი ზაშტო ნე იზბერუტ! (ხელის ბანას ათავებს და ავათმყოფისკენ მიბრუნდება).

სტუდენტი. Ну, что? какъ долго емѵ придется лежать? какъ вы думаете?

ფერშალი. ნე ზნაიუ, ზავისიტ ატ არგანისმა, ზნაეტე, ია სვაეი სტარანი... ლეკარსტვო ი ვსიო უხოდ, ზნაეტე, ა ესლი უმრიოტ; (ხელებს გაშლის)... მი ვსე უმირაემ! (გადახედავს დამსწრეებს) ვსე!

სტუდენტი. А лѣкарство давать въ таблеткахъ?

ფერშალი. ნეტ, ტაბურეტკი კაკ მოჟნო. ნადა ევო მიახკო პალაჟით.

სტუდენტი. Можетъ быть надо доктора позвать?

ფერშალი. ია დუმაიუ, ნეტ, ზნაეტე: კაკაია რაზნიცა: დოქტორ—ფაიტონ, ა ია ლოშად! (იცინის) ჰჰმ! ონ ნა ფაეტონე რაზიეჟაეტ, ა ია ნ ლოშადი, ზნაეტე—ვოტ რაზნიცა! (წასვლას აპირებს) ნუ ვსევო ხაროშავო! (კარებისაკენ მიდის და გზაში ხელს ართმევს ყველა იქ მყოფებს ისე, როგორც შემოსვლისას ჩამოართვა).

სტუდენტი. Вы зайдете еще?

ფერშალი. ნეტ, ზნაეტე, დალჟნო ბიშ, ბოლშე ნე ზაიდუ (პალტოს იცვამს).

სტუდენტი. (ფულს აძლევს).

ფერშალი. (ფულს ართმევს) ია ეშჩო რაზ ზაიდუ! (გადის).

ფ ა რ დ ა.

ღია წერილი

ბ-ნ ბუტუნს.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო ქ. ფოთიდან შემდეგი შინაარსის წერილი:

„თქვენს იუმორისტულ ჟურნალ“ ეშმაკის მათრახის“ მე11 ნომერში მოთავსებული ჩემს შესახებ დიფამატიას ეწერა.

გინაიდან მე მსურს სამართალში მივსცე დასახელებული დიფამატიის ავტორი, უმორჩილესად გთხოვთ კეთილგანწყობილ ფოთის ქალაქის პოლიციის საშვალებით ასევე ამ დიფამატიის ტექსტისა, მაცნობოთ სახელი, მამის სახელი და გვარი შემადგენელისა და აგრეთვე შემატყობინოთ გაწეული ხარჯის რაოდენობა; წინასწარ შემთხვევაში მე ძალებული ვიქნები პასუხის გებაში მივსცე თვით კეთილგანმცხადებელი თქვენი ჟურნალისა.

პატივისცემით მღვდელი **გიორგი კვერკელია.**

ყოველივე ზემორე ხსენებული მოწერილია რუსულათ, ალბათ იმიტომ, რომ განცხადების ოფიციალური ხასიათი არ დაეკარგოს. ქვეშ კი, ხელმოწერილი ქართულად არის.

როგორც გამოირკვა **„დიფამაცია“** იგივე ყოფილა პრესსის წინააღმდეგ, რაც ომში „სულშემხუთავი გაზია“, ვინაიდან სიმართლეს დანაწერისას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია.

ამიტომ რედაქცია „ეშმაკის მათრახისა“ მოგმართავს თქვენ შემდეგის წინადადებით:

1—წარმოგვიდგინოთ ახლო მომავალში დაწერილებითი ცნობები აღნიშნული მოძღვრის გ. კვერკელიას საზოგადო მოღვაწეობის შესახებ,

2— განსაკუთრებულის გულდასმით, უკლებლივ აგვიწეროთ ყოველივე წვრილმანი იმ ინციდენტისა, რომელსაც თქვენ ლექსში ეხებით,

3—დაუყონებლივ გვაცნობოთ იქნება თუ არა საჭირო რედაქციისაგან საგანგებო მამომძიებლის გამოგზავნა აღნიშნული საკითხის გამოსარკვევათ.

იმედი გვაქვს ყოველივე ეს აღსრულებული იქნება უახლოეს დროში.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია.

მღვდელს გიორგი კვერიკელიას!

პატიოსანო მამაო!

თქვენი საყურადღებო განცხადების შესახებ პატივი გვაქვს მოგახსენოთ შემდეგი.

სარედაქციო პრაკტიკაში არ არის მიღებული ავტორის შეუკითხავათ გადაეცეს მომჩივანს, თუნდაც ფოთელი პოლიციის საშვალებით, სარედაქციო ხელნაწერები და მათი ავტორები.

ამიტომ ღმორჩილესად გთხოვთ ამ საქმეში მაინც იქონიოთ მოთმინება დ., უკეთუ ავტორი „დიფამაციასა“ არ იკისრებს თქვენი სამჯავროს წინაშე წარმოდგომას, მსხვერპლად მიიღოთ ჩვენი რედაქტორ-გამომცემელი.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო. რედაქტორო.

თქვენ პატივცემულ იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ №4—ში მოთავსებულია გამოცანა ლანჩხუთლებისათვის ბურცევის ფსევდონიმით. ზოგიერთმა ჩემმა პირად მტრებმა ხმა გაავრცელეს რომ ეს ჩემზეა დაწერილი. ამის გამო გთხოვთ უმორჩილესათ მომცეთ საშვალება მივმართო ავტორს გამოაცხადოს რომ გამოცანა მე არ შემეხება ანდა ჩემზე დაუწერია. იმ შემთხვევაში ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში და მოვითხოვ დამტკიცებას იმ საშინელ ბრალდებისას რომელიც შიგ არის ჩამოთვლილი წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას მას მე უწოდო საზიზღარი ცოლის მწამებელი პატივის ცემით **არონ ტულუში.**

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

ᲨᲣᲨᲮᲣᲜᲐ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲛᲝ“

ᲙᲕᲐᲡᲘ

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუღი წყლით. სასუფთავე ქარხანაში საუტხოვოთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე. გემო და სუნი მუტაკთ სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲜᲐᲠᲯᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт.-ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ –1909 წლ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ეღირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვავონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამს. ცენზორ. სტამბა ამს. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე